

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენს , 25/08/2020 წ N 8134/01 წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა, ინდ. მეწარმე გივი მაგანიას პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებულ შენიშვნებს, გაცნობებთ რომ:

წინამდებარე დოკუმენტის დანართში წარმოდგენილია გადასამუშავებლად გათვალისწინებულ ნედლეულის წარმოშობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ:

1. ნასყიდობის ხელშეკრულება 05 მარტი 2020 წ

პირველი ხელშეკრულები მე-3-ე მუხლის „ვალდებულებები“-ს 3.1. პუნქტი - „ გადაეცეს მყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი“

მეორე ხელშეკრულების IV თავის „მხარეთა მოვალეობები“-ს 4.3. პუნქტი - „ მყიდველისათვის საქონლი მდგომარეობა ცნობილია და იგი მისაღებია მისთვის“.

ზემოდ აღნიშულდან გამომდინარე, „მეორადი პოლიეთილენი“-ს და „ხმარებიდან ამოღებული მეორადი ნარჩენი ცელოფანი“-ს, როგორც ნედლეულების, საპროექტო საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენების შემთხვევაში „ სახიფათო ნარჩენები“-ს მიღებას ადგილი არ ექნება.

მხედველობაში არის მისაღები ის გარემოება, რომ საწარმოს ტერიტორიაზე, ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული მანქანა-დანადგარების სარემონტო სამუშაოების დროს შესაძლოა დაგროვდეს ლითონის ჯართი, რომელიც პერიოდულად გაიტანება ჯართის მიმღებ პუნქტებში, ასევე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საწარმოს საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები არ გააჩნია, შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე არ მოხდება მოძრავი ტრანსპორტის რემონტი და (ან) საწვავ-საპოხი მასალებით გამართვა. ამიტომ საწარმოს ტერიტორიის ფარგლებში სახიფათო და ტოქსიკური ნარჩენები არ წარმოქმნება.

საწარმოში წარმოიქმნება, როგორც საყოფაცხოვრებო, ისე მუნიციპალური ნარჩენები.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე დადგმულია ურნა, რომელიც შევსების შემთხვევაში გაიტანება საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელზე დასუფთავების სამსახურის მიერ, რაც შეეხება მუნიციპალურ ნარჩენებს იმის მხედველობაში მიღებით, რომ საწარმოს დაგეგმილი აქვს წელიწადში 50 ტ. სასათბურე მეურნეობებისთვის საჭირო მთლიანი სახის პოლიეთილენის (ცელოფანის) ნაკეთობის მომზადება, მოსალოდნელია, რომ წლის განმავლობაში 5 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენის წარმოქმნას არ ექნება ადგილი. ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14-ე მუხლის „კომპანიის მართვის გეგმა“-ს 1 პუნქტის მხედველობაში მიღებით პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმო არაა ვალდებულია შეიმუშაოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.



	შენიშვნა	პასუხი
<p>არ არის მოცემული სკოპინგის დასკვნით (N46 28.05.2020; ბრძანება N2-443 29.05.2020)</p> <p>გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია:</p>		
1	<p>დასამუშავებლად მიღებული ნარჩენების კოდი და დასახელება „სახეობებისა დამახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად;</p>	<p>საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №115 დადგენილების „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ II დანართის „ნარჩენების ნუსხა“-ში წარმოდგენილი ნარჩენების ჩამონათვალის მიხედვით დასამუშავებლად მისაღები ნარჩენების კოდი არის 15 01 02 „პლასტმასის შესაფუთი მასალა“.</p>
2	<p>დასამუშავებლად გათვალისწინებული ნარჩენების წარმოშობა;</p>	<p>დასამუშავებლად გათვალისწინებული ნარჩენების წარმოშობის საკითხებთან დაკავშირებული მონაცემები წარმოდგენილია ნასყიდობის ხელშეკრულებებში (იხ. დანართი).</p>
3.	<p>ნარჩენების დამუშავების (აღდგენის ან განთავსების) ოპერაციების კოდები და აღწერილობა „ნარჩენების მართვის კოდექსის“ (I ან II დანართის) შესაბამისად;</p>	<p>2014 წლის 26 დეკემბრის # 2994-რს ნარჩენების მართვის კოდექსის I დანართში „აღდგენითი ოპერაციები“-ს ჩამონათვალში წარმოდგენილ სახეობის „პლასტმასის ნარჩენების“ კოდი იქნება R 5 – „სხვა არაორგანული ნივთიერებების რეციკლირება / აღდგენა“.</p>

პატივისცემით,

გივი მაგანია



დანართი 2 გვერდი